სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/201

ქ. თბილისი

12 ნოემბერი 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრები მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის სამაგისტრო სასპეციალიზაციო გამოცდების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, „2020-2021 სასწავლო წლისათვის საქართველოს მოქალაქეებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებული პირების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომელთაც მინიჭებული აქვთ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი აკადემიური ხარისხი და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მიენიჭებათ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება, რაც წარმოადგენს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სამაგისტრო გამოცდაზე/გამოცდებზე დაშვების წინაპირობას", საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 02 ნოემბრის MES 9 20 0001056785 ბრძანების, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის 2020 წლის 12 ნოემბრის MES 7 20 0001090325 სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 ნოემბრის №01-05-02/33 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2020-2021 სასწავლო წლისათვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისათვის, რომლებმაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა

და სპორტის მინისტრის 2020 წლის 02 ნოემბრის MES 9 20 0001056785 ბრძანების შესაბამისად მოიპოვეს უფლება საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე, უნივერსიტეტის მიერ დანიშნული სასპეციალიზაციო გამოცდის ჩაბარების საფუძველზე ჩაირიცხონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სასპეციალიზაციო გამოცდა დაინიშნოს 2020 წლის 13 ნოემბერს, 11:00 საათზე, სტუ-ის საგამოცდო ცენტრში, 2020-2021 სასწავლო წლისთვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სამაგისტრო სასპეციალიზაციო გამოცდების კომისიებისა და თემატიკის შესაბამისად;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**